ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის ოქმი № 6

5 იანვარი , 2018 წელი
15 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გიორგი ბირბიჩაძე

ანა ლაშხი

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

ია ტალიაშვილი

ვიტალი გულისარიანი

ჯიმშერ ლუტიშვილი

ზურაბ გაბუნაშვილი

აკაკი არაზაშვილი

ვალენტინა პოპოვა

მარინა ქოზაშვილი

თევდორე ბურჯალიანი

მაკა მიქაძე

მარგარიტა გოდერიძე

კუროშ აბდოლლაჰადეზ

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ჯუმბერ ლეჟავას I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩის შესახვევის გაგრძელების შესახებ
3. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, პატარა ლილოში, დავით აღმაშენებლის ქუჩათან არსებული ექვსი უსახელო გასასვლელისთვის დავით აღმაშენებლის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული უსახელო ჩიხებისთვის თენგიზ ჩანტლაძის II, III და IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტაბახმელას ველის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფ.დიღომში, მარკო პოლოს ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის მარკო პოლოს I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში ტბის ქუჩის გაგრძელების შესახებ
8. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, კულა გლდანელის ქუჩის გაგრძელების შესახებ
9. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში რაჭის ქუჩის გაგრძელების შესახებ
10. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქეთევანის ტბის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უჩა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის თევდორე მხატვრის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, საფეხბურთო კლუბი დინამოს ბაზასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფეხბურთელის მიხეილ ბერძენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვამდე თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ საკრებულო ვალდებული გახდა უზრუნველყოს ინიციატივების

რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღეში საკრებულოს ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნება, 20 დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ დაინტერესებული მოქალაქეების მოსაზრებების მიღება და მათთან კონსულტაციების გამართვა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესით. ასევე ადმინისტრაციული საქმისწარმოების რიგი ეტაპები წარიმართება თანამედროვე ტექნოლოგიების, კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო რეესტრის ელექტრონული პროგრამის გამოყენებით.

ბოლოს, სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხსენებული ცვლილებები და ამასთან ერთად დაინტერესებული მოქალაქეების ჩართულობა ხელს შეუწყობს როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, ასევე უზრუნველყოფს საკრებულოში მიმდინარე სახელდების საქმისწარმოების პროცესის გამჭვირვალეობას.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან და მოწვეულ მოქალაქეებთან ერთად დღის წესრიგით გათვალისწინებული 12 საკითხი წარმოადგინა.

1. **ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ჯუმბერ ლეჟავას I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია უსახელო ქუჩების სახელდებასთან და სახელების გადარქმევასთან დაკავშირებით. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, კომისია აგრძელებს პრაქტიკას ქუჩის შესახვევების, გასასვლელების და ჩიხებისთვის ძირითადი ქუჩის სახელის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მარიკა დარჩიას აზრით, მიდგომა სტრატეგიულად სწორი და გამართლებულია.

დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს წარმოდგენილ საკითხს კომისიის სხვა წევრებმაც.

სხდომას ესწრებოდა მოქალაქე ია ტალიაშვილი, მან მადლობა გადაუხადა კომისიას გულისხმიერებისთვის და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ჯუმბერ ლეჟავას I გასასვლელის სახელი.

2. **ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩის შესახვევის გაგრძელების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა ისაუბრა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, იმის გარდა, რომ შესახვევს ენიჭება ძირითადი ქუჩის სახელი, პატარა ტბა ტოპონიმური სახელია და კომისია სახელდებისას მაქსიმალურად ცდილობს ისტორიული ტოპონიმების გამოვლენა, შენარჩუნებასა და აღდგენაზე. (გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი, მუხლი 4, ქვეპუნქტი „გ“).

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გაგრძელდეს პატარა ტბის ქუჩა.

3. **ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, პატარა ლილოში, დავით აღმაშენებლის ქუჩათან არსებული ექვსი უსახელო გასასვლელისთვის დავით აღმაშენებლის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი განიხილეს. კომისიის წევრები დაინტერესდნენ დავით აღმაშენებლის სახელის დუბლირებასთან დაკავშირებით, რაზეც მამუკა გალიაშვილმა უპასუხა, რომ თბილისზე 2007 წელს შემოერთებულ ტერიტორიებზე სახელწოდებების გამეორება დასაშვებია, რადგან ნებისმიერი მისამართის დასახელებისას ქუჩის სახელს წინ უსწრებს დასახლების დასახელება (მაგ.: სოფ. დიღომი, სოფ. ტაბახმელა, სოფ. კიკეთი, სოფ. წყნეთი).

კომისიის სხდომას ესწრებოდა მოქალაქე ვიტალი გულისარიანი.

კომისიის წევრებმა და განმცხადებელმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, პატარა ლილოში, დავით აღმაშენებლის ქუჩათან არსებულ ექვს უსახელო გასასვლელს მიენიჭოს დავით აღმაშენებლის სახელი.

4. **ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული უსახელო ჩიხებისთვის თენგიზ ჩანტლაძის II, III და IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.
ერთხმად მოიწონეს საკითხი კომისიის წევრებმა და მოქალაქე ჯიმშერ ლუტიშვილმა.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში გაგრძელდეს თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა და მასთან არსებულ უსახელო ჩიხებს მიენიჭოს თენგიზ ჩანტლაძის II, III და IV ჩიხის სახელი.

5. **ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტაბახმელას ველის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ ტაბახმელას ველი ისტორიული

სახელია და სწორედ აღნიშნული ტერიტორია მოიხსენიება ტაბახმელას ველის სახელწოდებით.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს. მოქალაქეებმა ზურაბ ბაბუნაშვილმა და აკაკი არაბაშვილმა აღნიშნეს, რომ სახელწოდება თემატურია და მადლობა გადაუხადეს კომისიას თანამშრომლობისთვის და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ტაბახმელას ველის სახელი.

6. **ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფ.დიღომში, მარკო პოლოს ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის მარკო პოლოს I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად სოფ. დიღომში, ე.წ. „მოგზაურთა ბლოკის“ შესახებ იმსჯელა. გაიხსენეს მოგზაურები, რომლებმაც სხვადსხვა დროს საქართველოში იმოგზაურეს და იმდროინდელი საქართველო გააცნეს მსოფლიოს. ერთ-ერთი ასეთი იყო

მარკო პოლო, რომელმაც იმოგზაურა საქართველოში და თავის ჩანახატებში აღწერა თბილისი.

თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა. კომისიის წევრების მხრიდან საკითხმა მოწონება დაიმსახურა და დადებითი რეკომენდაცია მიეცა.

საკითხს მხარი დაუჭირა განმცხადებელმა ვალენტინა პოპოვამაც, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფ.დიღომში, მარკო პოლოს ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს მარკო პოლოს I გასასვლელის სახელი.

7. **ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში ტბის ქუჩის გაგრძელების შესახებ**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში გაგრძელდეს ტბის ქუჩა.

8. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, კულა გლდანელის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მერვე საკითხი.

კომისიის სხდომას ესწრებოდა მოქალაქე თევდორე ბურჯალიანი. დეტალებზე თუ რა პროცედურებია განსახორციელებელი სახელდების შემდეგ, მოქალაქეს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს კომისიის სამდივნოს თანამშრომლებმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გაგრძელდეს კულა გლდანელის ქუჩა.

9. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში რაჭის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში გაგრძელდეს რაჭის ქუჩა.

10. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ხოჭის ტბის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა დრის წესრიგით წარმოდგენილი მეათე საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ სახელი შერჩეულია ტოპონიმურად და ქეთევანის, იგივე ხოჭის ტბა ისტორიულად მართლაც არსებობდა იმ ტერიტორიაზე, სადაც კომისიას სურს აღნიშნულ ქუჩას ხოჭის ტბის სახელი უწოდოს. ეს არის ომარ ხიზანიშვილის ქუჩის შემოვლითი გზა, ჩრდილოეთის მხარეს.

აზრი გამოთქვეს: მარიკა დარჩიამ მადლობა გადაუხადა კომისიის სამდივნოს თანამშრომლებს ამომწურავი ინფორმაციის მოძიებისთვის ხოჭის სახელთან დაკავშირებით, ვინაიდან საუბარია ტოპონიმიკის აღდგენა-შენარჩუნებაზე.

სახელის ფორმულირება საჯარო განხილვამდე იყო ქეთევანის (ხოჭის) ტბის ქუჩა, კომისიის წევრების გადაწყვეტილებით

მასალების სრულყოფილად მოძიების შემდგომ უსახელო ქუჩას მიენიჭება ხოჭის ტბის სახელი.

საკითხს დადებითი რეკომენდაცია მიეცა მოქალაქე მაკა მაქაძის მხრიდან, რომელიც კომისიის სხდომას ესწრებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კომიიის წევრები შეთანხმდნენ, რომ ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ხოჭის ტბის სახელი.

11. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უჩა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის თევდორე მხატვრის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა დავით აღმაშენებლის კარის მხატვრის, თევდორე მხატვრის ბიოგრაფიაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ თევდორე თავისი ეპოქის ქართული მონუმენტური მხატვრობის ბრწყინვალე წარმომადგენელია. დამსახურების გარდა, აღნიშნულ ტერიტორიაზე სახელდება თემატურიცაა, უჩა ჯაფარიძის და მხატვრების ქუჩების მიმდებარედ.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის სხდომას ესწრებოდა მოქალაქე მარგარიტა გოდერიძე, მან მადლობა გადაუხადა კომისიას თანამშრომლობისთვის და საკითხის ზედმიწევნით განხილვისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უჩა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს თევდორე მხატვრის სახელი.

12. **ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, საფეხბურთო კლუბი დინამოს ბაზასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფეხბურთელის მიხეილ ბერძენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია დიდუბის რაიონში, აღმაშენებლის ხეივანთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ ბერძენიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა მიხეილ ბერძენიშვილის ბიოგრაფიაზე და დამსახურებებზე იმსჯელეს.

საკითხს დადებითი რეკომენდაცია მიეცა.

სხდომას ასევე ესწრებოდა მოქალაქე კუროშ აბდოლლაჰზადეჰ. მან მადლობა გადაუხადა კომისიას თანამშრომლობისთვის, მოწვევისთვის და საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, საფეხბურთო კლუბ დინამოს ბაზასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ფეხბურთელის მიხეილ ბერძენიშვილის სახელი.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილი 12 საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გატანას.

გარდა წარმოდგენილი საკითხებისა, კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად განიხილეს შემოსული განცხადებების საფუძველზე მომზადებული ინიციატივები. კომისიის გადაწყვეტილებით, ხსენებული საკითხები უახლოეს დღეებში დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე ინიციატივებად და გამოქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვის უზრუნველსაყოფად.

1. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის #52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ
2. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, პროფესორ შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გურამ პატარაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის გზისკარის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ენათმეცნიერის, პროფესორ ტოგო გუდავას სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმ-პედიატრების, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელის მინიჭების შესახებ
6. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ქოშიგორას დასახლებაში უდაბნოს მონასტრის I შესახვევის გაგრძელების შესახებ
7. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. წავკისში ვახტანგ თედიაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ
8. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ელიას მთის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ივერთუბნის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ევგენი ღვალაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარჯნის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრის სახელის მინიჭების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

5 იანვარი, 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი